ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5954397

ნომერი: AR1888937

თარიღი : 28.03.2022

გაცემის თარიღი : 25.05.2022

გაცნობის თარიღი : 27.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზედაზენი , N4 კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. #12, მე-10 ბლოკი, ბინა 15-03

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 28 მარტის №AR1888937 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2022 წლის 16 თებერვლის №5808937 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ

მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 04 აპრილის №5878798 ბრძანებით, 2022 წლის 18 აპრილის №5903794 და 2022 წლის 06 მაისის №5929945 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, №20 (+3.30 ნიშნული) და №91 (+29.70 ნიშნული) ბინებში საცხოვრებელ ფართობებად ორი სხვადასხვა ფართობია მითითებული. ასევე, +9.90 ნიშნულების გეგმაზე დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობების ჯამური მაჩვენებელი არ ემთხვევა ამავე გეგმების ექსპლიკაციებზე მითითებულ საცხოვრებელი ფართობების ჯამურ მაჩვენებელს. ამასთან, +29.70 ნიშნულის გეგმაზე №91 აივანზე მითითებული საზაფხულო ფართობი და უშუალოდ ბინაში მითითებული საზაფხულო ფართობი ერთმანეთთან შეუსაბამოა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, დაზუსტდეს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით და აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის 2022 წლის 16 თებერვლის №5808937 ბრძანებით შეთანხმებულ გასწორებულ 0.00, +13.20, +26.40, +33.00 და +36.30 ნიშნულების გეგმებთან ერთად წარმოდგენილ იქნას გასწორებული +3.30, +9.90 და +29.70 ნიშნულის გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე). შესაბამისად ჯამურად წარმოსადგენი გაქვთ 8 გეგმა.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 06 მაისის №5929945 გადაწყვეტილებას გაეცანით 2022 წლის 06 მაისს, ხოლო განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2022 წლის 24 მაისს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 13 (ცამეტი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 03 (სამი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 03 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 28 მარტის №AR1888937 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.